საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: კ. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.12.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 153/13

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ /სიითი #3089/1/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 04 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საჩივრით მომართა კ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2011 წლის 15 თებერვლის განაჩენით ქურდობის რამოდენიმე ეპიზოდის გამო სსკ–ის 59–ე მუხლის 1–ლი ნაწილის შესაბამისად, განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა, აქედან 09 (ცხრა) წელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, 06 (ექვსი) კი პირობით. 2012 წლის 28 დეკემბერს, ,,ამნისტიის შესახებ" კანონიდან გამომდინარე, მოაკლდა სასჯელის 1/4, რის შემდგომაც სასჯელის სახედ განესაზღვრა 11 (თერთმეტი) წლითა და 03 (სამი) თვით თავისუფლების აღკვეთა, აქედან 06 (ექვსი) წელი და 09 (ცხრა) თვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, 04 (ოთხი) წელი და 06 (ექვსი) თვე კი ჩაეთვალა პირობით.

1.3 საჩივრის ავტორმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას 2011 წლის 15 თებერვლის განაჩენის ახლად

აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის მიზნით. 2013 წლის 03 ივნისის განაჩენით მსჯავრდებული კ. ც.-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 თებერვლის განაჩენი ძალაში დარჩა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის 01 ივლისს ადვოკატმა ნ. კ.-მა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 03 ივნისის განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების მიზნით, კ. ც. მოინახულა რუსთავის N17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, აღუთქვა დახმარება და ხელი მოაწერინა მის მიერ მომზადებულ საკასაციო საჩივარზე.

1.5 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა ნ. კ.-მა ბოროტად ისარგებლა მისი ნდობით და გაუშვა საკასაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების ვადა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაშვების გამო საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაგზავნის შესახებ უარი განაცხადა.

1.6 საჩივრის ავტორის 2014 წლის 05 ივლისის ახსნა–განმარტების თანახმად, ადვოკატის მიერ საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაშვების შესახებ კ. ც.-სთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ჩაბარდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 15 ივლისის განჩინება, რომლითაც კ. ც.-ს ადვოკატის ნ. კ.-ს შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 03 ივნისის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადის საპატიოდ ჩათვლისა და აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. კ.-მა 2014 წლის 22 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ იგი იყო საჩივრის ავტორის კ. ც.-ს ძმის – ბ. ც.-ს ადვოკატი, რომელთანაც ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა შეწყდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში განაჩენის დადგომის შემდგომ. დროის ამ მონაკვეთში საჩივრის ავტორი იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ნ. კ. მას არ უწევდა საადვოკატო მომსახურებას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მას შემდგომ, რაც საჩივრის ავტორმა, 2012 წელს განხორციელებული ამნისტიის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა და ზემოაღნიშნული სასამართლოდან შეწყალებაზე უარი მიიღო, მომჩივნის დედა მივიდა მასთან, განუმარტა ადვოკატს, რომ მას არ ჰქონდა საშუალება ოჯახის ორი წევრისთვის აეყვანა სხვადასხვა ადვოკატი, ამიტომ, მომჩივნის თანხმობით, სთხოვა მისულიყო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ენახა საჩივრის ავტორი, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ ნახავდა მომჩივანს და გაერკვეოდა სიტუაციაში, თუმცა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადება–არდადების საკითხს იმის მიხედვით გადაწყვეტდა თუ რამდენად პერსპექტიული იქნებოდა საქმე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, იგი 2013 წლის 01 ივლისს, ანუ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლამდე ერთი დღით ადრე, სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში შეხვდა საჩივრის ავტორს, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ არ ელოდებოდა ადვოკატის მისვლას და თავად ჰქონდა გამზადებული საკასაციო საჩივარი. კ. ც.-მ ადვოკატს აჩვენა საკასაციო საჩივარი, ადვოკატმა კ. ც.-ს განუმარტა,

რომ ვინაიდან გასაჩივრების ვადის გასვლამდე დარჩენილი იყო ერთი დღე, იგი ვერ მოასწრებდა საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვას და საჩივრის თბილისის სააპელაციო სასამართლოში რეგისტრაციას, ამდენად, ვადების დასაცავად, უმჯობესი იყო, თავად მსჯავრდებულს მიემართა სასამართლოსთვის. ამასთან, ადვოკატის თქმით, მან მომჩივანს მისცა შენიშვნები საჩივრის ფორმალურ მხარესთან დაკავშირებით, დაეხმარა საჩივრის სამართლებრივად გამართულად ჩამოყალიბებაში და ასწავლა თუ როგორ უნდა მიემართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისთვის. ადვოკატმა კ. ც.-ს ასევე განუმარტა, რომ გასაჩივრების ბოლო ვადა 02 ივლისი იყო და სასამართლოს კანცელარიაში 02 ივლისს უნდა გაეგზავნა საჩივარი გასაჩივრების ვადის დაცვის მიზნით. ამის შემდგომ, ადვოკატის განმარტებით, მომჩივანთან მას კომუნიკაცია არ ჰქონია.

2.4 ადვოკატმა ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდეგ შეიტყო, რომ კ. ც.-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის საკასაციო საჩივრით ვადის დაგვიანებით მიუმართავს. ადვოკატის თქმით, მან იცოდა რომ მასა და კ. ც.-ს შორის წარმოიშვა ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა, თუმცა ეს ურთიერთობა დასრულდა წარმოშობის დღესვე, მან კ. ც.-ს მხოლოდ კონსულტაცია გაუწია, ადვოკატმა გააუქმა პირველად გამოწერილი ორდერი, რითაც, მისი თქმით, დასრულდა მხარეებს შორის წარმოშობილი ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2013 წლის 5–6 ივლისს მას დახმარების თხოვნით მიმართა მომჩივანის დედამ და სთხოვა გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენასა და ახალი საკასაციო საჩივრის შედგენაში დახმარება. ადვოკატმა გამოწერა ორდერი იმისათვის, რათა საჩივარში აღენიშნა მომჩივნის მხრიდან ადვოკატის მოგვიანებით აყვანის ფაქტი და მიეთითებინა ადვოკატის არ ყოლის პირობებში საჩივრის ავტორის მწირ სამართლებრივ ცოდნაზე როგორ და რა წესით მოეხდინა მისი უფლებების დაცვა ზემდგომ ინსტანციებში. ადვოკატმა მხარეს, ასევე განუმარტა, რომ ამ საფუძვლებით სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ალბათობა დაბალი იყო. ადვოკატმა დაწერა ახალი საკასაციო საჩივარი და დაურთო ახალი თარიღით გამოწერილი მეორე ორდერი, კ. ც.-ს დედას ასწავლა, რომ უნდა შესულიყო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კ. ც.-სთან, რომელიც ხელს მოაწერდა საჩივარს და აღნიშნული საჩივარი ჩაებარებინა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მასა და საჩივრის ავტორს შორის შეხვედრისა და კონსულტაციის გამო წარმოიშვა ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა, თუმცა, აუხსნა მომჩივანს რა, რომ იგი ვერ იმოქმედებდა მისი სახელითა და სააპელაციო სასამართლოში ვერ შეიტანდა საკასაციო საჩივარს, კ. ც.-სთან ურთიერთობა მისი წარმოშობის დღესვე დასრულდა. ადვოკატმა გააუქმა პირველად გამოცემული ორდერი, რაც მისივე თქმით, კ. ც.-სათვის საადვოკატო მომსახურების გაწევის ვალდებულების შეწყვეტის დასტურია. ამდენად, ადვოკატი თვლის, რომ არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის არც ერთი ნორმა. გარდა ამისა, ადვოკატის ინფორმაციით, საჩივრის განხილვის პარალელურად კ. ც. თავისუფლებაშია.

2.7 ადვოკატმა ნ. კ.-მა მონაწილეობა მიიღო საქმის ზეპირ განხილვაში 2018 წლის 01 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომაზე. ადვოკატმა უარყო 2014 წლის 22 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე აღწერილი გარკვეული გარემოებები და განმარტა, რომ მას კ. ც.-ს

დედასთან არ დაუდია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. მისი თქმით, შეთანხმდნენ, რომ გამოწერდა ორდერს, რომელსაც არ დაარეგისტრირებდა. შესაბამისად, კ. ც.-ს ოჯახი არ გადაიხდიდა საადვოკატო მომსახურებას ანაზღაურებას. ადვოკატმა ამავე დროს განაცხადა, რომ ორდერი რეალურად 10 ივნისის ნაცვლად 01 ივლისს ამოწერა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, საკასაციო საჩივარი, რომელიც დაგვიანებით იქნა შეტანილი სასამართლოში, შედგენილი იყო მის მიერ ბეჭდური ფორმით 2013 წლის 01 ივლისს. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მან საკუთარ თავზე დაიბრალა ვადის გაშვება და ამის გამო მიმართა სასამართლოს ვადის აღდგენის განცხადებით.

2.9 ადვოკატმა განაცხადა, რომ იგი შეიტანდა თუ არა საკასაციო საჩივარს დადგენილ ვადაში აღნიშნული ვერ იქონიებდა კლიენტის ინტერესებზე გავლენას, რადგანაც კ. ც. იყო ჯგუფური დანაშუალის თანამონაწილე და სხვა თანამონაწილეთა მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი სასამართლომ წარმოებაში მიიღო, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება კ. ც.-ს სამართლებრივ მდგომარეობაზეც გავლენას იქონიებდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2017 წლის 08 მაისს მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს უნდა წარედგინა კ. ც.-ს საქმეზე საკასაციო საჩივარი და ადვოკატმა საკასაციო საჩივარი სასამართლოში წარადგინა ვადის გაშვებით, ადვოკატის მიერ შეიძლება დარღვეულად მიჩნეულიყო„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი.

3.3 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მა გაუშვა საკასაციო წესით განაჩენის გასაჩივრების ვადა, ხოლო კლიენტისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია საქმის მსვლელობის შესახებ, შესაძლოა დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმის მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატ ნ. კ.-სა და მსჯავრდებულ კ. ც.-ს დედას შორის 2013 წლის 10 ივნისს დაიდო ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატ ნ. კ.-ს ახსნა-განმარტება
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 15 ივლისის განჩინება საქმეზე N1ა3/216–13.

4.1.2 2013 წლის 10 ივნისს ადვოკატმა ნ. კ.-მა ამოწერა ორდერი, რომლის თანახმადაც ადვოკატს კ. ც. უნდა დაეცვა სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2013 წლის 10 ივნისის ორდერის ასლი N015/013

4.1.3 2013 წლის 05 ივლისს 14:15 სთ-ზე მსჯავრდებულ კ. ც.ს ადვოკატმა ნ. კ.-მა მიმართა N1/5022 განცხადებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 03 ივნისის განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის აღდგენა იმ მოტივით, რომ ელოდნენ კ. ც.-ს ნასამართლეობის ცნობას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 15 ივლისის განჩინება საქმეზე N1ა3/216–13;

ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ 2013 წლის 05 ივლისს შედგენილი განცხადება N1/5022;

4.1.4 თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიაში 2015 წლის 05 ივლისს 14:15 სთ-ზე შევიდა ბეჭდური ფორმით ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ შედგენილი საკასაციო საჩივარი N1/5023, რომელსაც ხელს კ. ც. აწერს და დათარიღებულია 2013 წლის 01 ივლისით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

კ. ც.-ს სისხლის სამართლის მასალები საქმეზე N1ა3/216–13;

ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ განხილვის კოლეგიის სხდომაზე გაკეთებული განმარტება.

4.1.5 ადვოკატ ნ. კ.-ის შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 03 ივნისის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადის საპატიოდ ჩათვლისა და აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება ნასამართლეობის ცნობის გამოთხოვის შესახებ, რაც მითითებული იყო ვადის საპატიოდ ჩათვლის მიზეზად.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 15 ივლისის განჩინება;

4.1.6 ადვოკატი ნ. კ. კ. ც.ს საქმეში ჩაერთო განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლამდე, კერძოდ 2013 წლის 10 ივნისს, ხოლო გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 03 ივლისი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2013 წლის 10 ივნისის ორდერის ასლი N015/013;

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტარტამენტის 2014 წლის 22 იანვრის NMCLA X წერილი.

4.1.7 ადვოკატ ნ. კ.-ს კლიენტისთვის, კ. ც.-სთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია საქმის მსვლელობის შესახებ, კერძოდ საკასაციო წესით განაჩენის გასაჩივრების ვადის გაშვება.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტარტამენტის 2014 წლის 22 იანვრის NMCLA X წერილი.

ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გაკეთებული განმარტება.

4.2 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში სადაო გარემოებაა საკასაციო ვადის გაშვება რამდენად არის გამოწვეული ადვოკატის ბრალეულობით, რადგან მხარეებმა ამასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია წარმოადგინეს.

4.2.1 საჩივრის ავტორის კ. ც.-ს პოზიციით 2013 წლის 01 ივლისს ადვოკატმა ნ. კ.-მა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 03 ივნისის განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების მიზნით, კ. ც. მოინახულა რუსთავის N17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, აღუთქვა დახმარება და ხელი მოაწერინა მის მიერ მომზადებულ საკასაციო საჩივარზე. ადვოკატმა ბოროტად ისარგებლა მისი ნდობით და გაუშვა საკასაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების ვადა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაშვების გამო საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაგზავნის შესახებ უარი განაცხადა.

4.2.2 ადვოკატის განმარტების მიხედვით, კ. ც.-მ თავად გააგზავნა საკასაციო საჩივარი, ადვოკატი მხოლოდ საჩივრის ფორმალური მხარის გამართვაში დაეხმარა და გასაჩივრების ვადაზე, ჩაბარების წესზე გაუწია კონსულტაცია. შესაბამისად იგი ბრალეული არ არის ვადის გაშვებაში. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მან საკუთარ თავზე დაიბრალა ვადის გაშვება და ამის გამო მიმართა სასამართლოს წერილობით ვადის აღდგენის მოთხოვნით.

4.2.3 ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიამ უნდა დაადგინოს ადვოკატის ბრალეულობით მოხდა თუ არა საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაშვება, სწორედ გადანაწილებული მტკიცების ტვირთის და დადგენილი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით.

4.2.4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებით, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივარზე (მიმართვაზე) დისციპლინური საქმის წარმოება არის ინკვიზიციური ხასიათის..“ (სუსგ #დს/შ10-13, თარიღი 16.10.2013)

4.2.5 ეთიკის კომისიამ 2018 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილებაში (დისციპლინური საქმე N 089/17) განმარტა, რომ კომისია გამომდინარე ინკვიზიციურობის პრინციპიდან და მისი აქტიური როლიდან, მტკიცების სტანდარტის შეფასებისას ეყრდნობა ადმინისტრაციულ საქმისა წარმოებაში არსებულ მტკიცების სტანდარტს. ეს ფაქტების მტკიცებულებებით დადასტურების უფრო მაღალ დამარწმუნებლობას ითხოვს, ვიდრე ეს სამოქალაქო საქმისწარმოებაშია მოთხოვნილი, სადაც მტკიცების ტვირთის მქონე მხარის წარმოდგენილი მტკიცებულებების სარწმუნოების გადაჭარბება მეორე მხარის მტკიცებულებებზე საკმარისი საფუძველია სადაო ფაქტის დასადგენად. დისციპლინურ სამართალწარმოებაში უბრალო გადაჭარბება არ არის საკმარისი, გადაჭარბება უნდა იყოს არსებითი, განპირობებული მხარის მიერ წარმოდგენილი ან ეთიკის კომისიის მიერ გამოთხოვილი მტკიცებულებების სარწმუნოებიდან და ურთიერთშესაბამისობიდან. თუმცა ეს სტანდარტი, არ არის იმ დონის, როგორც საქართველში სისხლის სამართალში მიღებულ სტანდარტია - გონივრულ ეჭვს მიღმა.“

4.2.6 მტკიცების ტვირთის განაწილებისას, ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

4.2.7 სამოქალაქო ურთიერთობებში მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია, იხ სუსგ #ას-899-1185-09, თარიღი: 26/03/2010, რაც წარმოადგენს დამკვიდრებულ პრაქტიკას, იხ. ას-1252-1181-2012, თარიღი 11/03/2013, №: ას-23-23-2016 თარიღი 09/03/2016 და სხვა. შესაბამისად საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

4.2.8 მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან კ. ც.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მა მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა ქცევის სტანდარტი, შესაბამისად საჩივრის ავტორს ეკისრება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი. კერძოდ, გარემოების, რომ ნ. კ.-მა აიღო ვალდებულება საკასაციო საჩივარი ჩაებარებინა სასამართლოსთვის და მან გაუშვა საჩივრის წარდგენისთვის დადგენილი ვადა. სარწმუნო და ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებებით უნდა დადგინდეს, რომ ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები. საქმის წარმოების პირველ ეტაპზე კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით და საკუთარი ინიციატივით გამოითხოვა გარკვეული ინფორმაცია. კერძოდ, კ. ც.-სთან შედგა თუ არა 2013 წლის 01 ივლისს ადვოკატ ნ. კ.-ს პაემანი და ამავე დღეს ხომ არ ფიქსირდება მსჯავრდებულის მიერ ხელმოწერილი და ადვოკატის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოტანილი დოკუმენტი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 03 ივნისის განაჩენის ასლი; ვის გაეგზავნა 2013 წლის 03 ივნისის განაჩენის ასლი მისი გამოტანის შემდეგ; ვის და როდის ჩაბარდა 2013 წლის 03 ივნისის განაჩენის ასლი; როდის და ვინ ჩააბარა სასამართლოს საკასაციო საჩივარი. დისციპლინური საქმის მასალებით დგინდება, რომ 2013 წლის 01 ივლისს ნამდვილად შედგა პაემანი ადვოკატ ნ. კ.-სა და კ. ც.-ს შორის. 2013 წლის 05 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიას 14:15 სთ-ზე N1/5022 ჩაბარდა ჯერ ადვოკატ ნ. კ.-ს განცხადება ვადის აღდგენის შესახებ, ხოლო შემდეგ იმავე თარიღში იმავე დროს N1/5023 სარეგისტრაციო ნომრით ნაბეჭდი სახით შედგენილი კ. ც.-ს საკასაციო საჩივარი, რომელსაც ხელს აწერს კ. ც.. ნ. კ. საქმის საპროცესო წესით განხილვის ეტაპზე განმარტავდა. რომ ორჯერ დაწერა საკასაციო საჩივარი. მეორე მას შემდეგ, რაც მისმა დაცვის ქცეშ მყოფმა გაუშვა საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადა, თუმცა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე სისხლის სამართლის საქმის N1/ა.გ-216-13 წ. მასალების მიხედვით კ. ც.-ს სახელით ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ მხოლოდ ერთი საკასაციო საჩივრის წარდგენა დგინდება. ადვოკატმა ნ. კ.-მა ორდერი ამოწერა 2013 წლის 10 ივნისს, ხოლო დაცვის ქვეშ მყოფი მოინახულა 01 ივლისს, საკასაციო საჩივარიც დათარიღებულია 01 ივლისის თარიღით, გასაჩივრების ვადის გასვლამდე წინა დღის თარიღით, ხოლო საკასაციო საჩივარი ადვოკატის მიერ სასამართლოს ჩაბარდა 05 ივლისს. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის მტკიცებას იმის შესახებ, რომ საკასაციო წესით განაჩენის გადასინჯვის თაობაზე საჩივრის სასამართლოში წარდგენის ვადის გაშვება მისი ბრალეულობით არ მომხდარა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

კ. ც.ს სისხლის სამართლის მასალები საქმეზე N1ა.გ/216–13;

ადვოკატის ახსნა-განმარტება საპროცესო და განხილვის ეტაპებზე

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ შეისწავლა საჩივარი, საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მა დაარღვია შემდეგი ნორმები:

6.1.1 „ადვოკატთა შესახე“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები...“

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი, რომლის თანახმად „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

6.1.3 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია.“

6.1.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 პუნქტი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

6.2 დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომელიც უშუალოდ კლიენტმა უნდა განახორციელოს. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა კლიენტი სათანადოდ იყოს წარმოდგენილი და ადვოკატთან შეთანხმებულ საქმეზე მიიღოს კვალიფიციური მომსახურება. კვალიფიციურობა გულისხმობს, რომ ადვოკატმა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

6.3 საქმის მასალებით დადგინდა, რომ ადვოკატ ნ. კ.-სა და მსჯავრდებულ კ. ც.-ს დედას შორის 2013 წლის 10 ივნისს დაიდო ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ. ამავე დღესვე ადვოკატმა ამოწერა ორდერი, რომლის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 3 თვე და ადვოკატის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რომ კლიენტი წარმოადგინოს კლიენტი სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სააპელაციო სასამართლოში. ადვოკატი განმარტავს, რომ მან კ. ც.-სთან ურთიერთობა დაიყო 2013 წლის 01 ივლისს. იგი ვერ ხსნის რატომ შეადგენს ორდერის მოქმედების ვადა 3 თვეს, ასევე ვერ განმარტავს, რატომ შეხვდა კ. ც.-ს მხოლოდ და მხოლოდ 01 ივლისს, როდესაც ინფორმირებული იყო, რომ გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადები 02 ივლისს გადიოდა. ადვოკატი საკუთარ განცხადებაში ორდერის

ამოწერიდან დაახლოებით 20 დღის დაგვიანებით კლიენტის მონახულების მოტივად ასახელებს იმ გარემოებას, რომ საქმის მასალები შესწავლილი არ ჰქონდა, თუმცაღა განხილვის კოლეგიის სხდომაზე განაცხადა, რომ საქმის მასალებს არ იცნობდა და საკასაციო საჩივარიც ზოგადი გარემოებების ცოდნაზე დაყრდნობით შეადგინა.

6.4 საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე და მტკიცებულებებზე დაყრდნობით კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ.-სა და კ. ც.-ს შორის ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2013 წლის 10 ივნისს, როდესაც ადვოკატმა ამოწერა ორდერი. მართალია ადვოკატმა ნ. კ.-მა განხილვის კოლეგიის სხდომაზე განაცხადა, რომ ორდერი რეალურად 10 ივნისის ნაცვლად 01 ივლისს ამოწერა, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება მას არ წარმოუდგენია. ამის სანაცვლოდ საქმეში დევს ადვოკატის მიერ 10 ივნისს ამოწერილი ორდერის ასლი.

6.5 ადვოკატის მიერ საპროცესო კოლეგის სხდომაზე მიცემული განმარტების თანახმად, მისი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისვლის ეტაპზე კ. ც.-ს უკვე ჰქონდა შედგენილი საკასაციო საჩივარი, რომელთან დაკავშირებითაც ადვოკატმა მხოლოდ პროცედურული რჩევები მისცა. ნ. კ.-მა განხილვის კოლეგიის სხდომაზე შეცვალა აღნიშნული ახსნა–განმარტება და განაცხადა, რომ მან 2013 წლის 01 ივლისს შედგენილი საკასაციო საჩივარი ამავე დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვიზიტისას სასამართლოში გასაგზავნად დაუტოვა მსჯავრდებულ კ. ც.-ს. კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის ზემოაღნიშნულ განცხადებას, რამდენადაც თბილისის სააპელაციო სასამართლოდან გამოთხოვილი მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ საკასაციო საჩივრის გასაჩივრების ვადის გაშვების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე განცხადებაც და საკასაციო საჩივარიც სასამართლოს კანცელარიაში ნ. კ.-ს მიერ რეგისტრირებულია 2013 წლის 05 ივლისს 14:15 საათზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი განცხადებასთან ერთად სასამართლოში შეტანილია არა მსჯავრდებულ კ. ც.-ს, არამედ ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ. ამდენად, ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ საპროცესო კოლეგიისა და განხილვის კოლეგიის სხდომაზე გაკეთებული განმარტებები წინააღმდეგობრივია, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაში მოდის საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან.

6.6 2013 წლის 05 ივლისს 14:15 სთ-ზე მსჯავრდებულ კ. ც.-ს ადვოკატმა ნ. კ.-მა მიმართა N1/5022 განცხადებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 03 ივნისის განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის აღდგენა იმ მოტივით, რომ ელოდნენ კ. ც.-ს ნასამართლეობის ცნობას. ამავე დროს, ადვოკატმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიაში 2015 წლის 05 ივლისს 14:15 სთ-ზე ჩააბარა ბეჭდური ფორმით შედგენილი 01 ივლისის საკასაციო საჩივარი N1/5023. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით საქმეზე N1-აგ/216–13 შუამდგომლობა 2013 წლის 03 ივნისის განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის საპატიოდ ჩათვლის შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა დადგენის გამო: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 03 ივნისის განაჩენი მომჩივანს ჩაბარდა 2013 წლის 04 ივნისს. 2013 წლის 10 ივნისს მსჯავრდებულის დედასა და ადვოკატ ნ. კ.-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა და იმავე დღეს გამოიწერა ორდერი, ხოლო

სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოში შეტანილია 2013 წლის 05 ივლისს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის საპატიოდ ჩათვლის მიზეზად მითითებული იყო ნასამართლეობის ცნობის გამოთხოვა, რომელიც არ იქნა წარმოდგენილი. ამასთან, სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში არ მოიპოვება სხვა მტკიცებულებები აღნიშნული ცნობის გამოთხოვის დასადასტურებლად.

6.7 საქმეში არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე კომისიას დადგენილად მიაჩნია, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მა კ. ც.-სთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა დაიწყო და მისი საქმის წარმოების პროცესში ჩაერთო საკასაციო საჩივრის ვადის გასვლამდე, ასევე საკასაციო საჩივარი ადვოკატის მიერ შეტანილია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაუცველად, რის გამოც კ. ც.-ს მიადგა ზიანი. ეთიკის კომისია 080/13 საქმეზე 2014 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ადვოკატმა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოქმედება უნდა შეასრულოს საკასაციო საჩივრის საპროცესო ვადის დაცვით სასამართლოში წარსადგენად. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის შედგენა და დადგენილი წესით მისი სასამართლოში შეტანა ადვოკატის პირდაპირ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას წარმოადგენდა. ადვოკატმა უმოქმედობით, რომლის მიზეზებიც კომისიისთვის ბუნდოვანია, გაუშვა საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადები, რაც განიხილება ადვოკატის მიერ კლიენტისთვის არაკეთილსინდისიერი მომსახურების გაწევად. ამდენად, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ დარღვეულია კლიენტის კეთილსინდისიერად დაცვის პრინციპი.

6.8 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის მითითებას იმის თაობაზე, რომ საკასაციო საჩივრის დაგვიანებით შეტანით არ შელახულა საჩივრის ავტორის უფლებები, რადგან კ. ც.-ს მონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის სხვა თანამონაწილე პირების მიერ წარდგენილი იყო საკასაციო საჩივარი და აღნიშნული პირდაპირ ეფექტს იქონიებდა კ. ც.-ს სამართლებრივ მდგომარეობაზე. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ ქმედების დისციპლინურ გადაცდომად კვალიფიკაციისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, მიადგა თუ არა კლიენტს ადვოკატის ქმედებით ზიანი. ეთიკის კომისია, ასევე ვერ გაიზიარებს ადვოკატის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ საჩივრის დადგენილ ვადაში წარდგენის შემთხვევაშიც იგივე შედეგი დადგებოდა, აღნიშნული ვერ ცვლის იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა კლიენტს არაკეთლისინდისიერი მომსახურება გაუწია.

6.9 ადვოკატ ნ. კ.-ს კლიენტისთვის, კ. ც.-სთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია საქმის მსვლელობის შესახებ, კერძოდ საკასაციო წესით განაჩენის გასაჩივრების ვადის გაშვების თაობაზე.

6.10 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №074/10 კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში.“ მოცემულ შემთხვევაში, როგორც მომჩივანი განმარტავს, 2013 წლის 01 ივლისის შემდგომ, მას ადვოკატთან ურთიერთობა არ ჰქონია, ხოლო ადვოკატის მიერ საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის

გაშვების შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ჩაბარდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 15 ივლისის განჩინება, რომლითაც კ. ც.-ს ადვოკატის ნ. კ.-ს შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 03 ივნისის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადის საპატიოდ ჩათვლისა და აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კლიენტთან შეხვედრის ამონაწერი ადასტურებს, რომ ადვოკატი ნ. კ. დაცვის ქვეშ მყოფ პირს მხოლოდ ერთხელ 2013 წლის 01 ივლისს შეხვდა.

6.11 საქმის მასალებითა და მხარეთა განმარტებებით დგინდება, რომ ადვოკატ ნ. კ.-სა და კ. ც.ს 2013 წლის 01 ივლისის შემდგომ ურთიერთობა არ ჰქონიათ. საკასაციო საჩივარში, რომლიც 01 ივლისს შედგა და სააპელაციო სასამართლოს 05 ივლისს წარედგინა, წარმომადგენლად ნ. კ. ფიქსირდება. მომჩივანის ახსნა-განმარტებიდან დგინდება, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მა განახორციელა შემდეგი იურიდიული მოქმედება: შეადგინა საჩივარი და წარადგინა სააპლაციო სასამართლოში. კლიენტს ადვოკატთან გაუჩნდა პრეტენზია მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ადვოკატმა გაუშვა გასაჩივრების ვადა, ხოლო ადვოკატმა კლიენტთან კომუნიკაცია შეწყვიტა. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულებაც.

6.12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.13 განხილვის კოლეგიამ ადვოკატისთვის სახდელის – გაფრთხილების დაკისრებისას იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავსი ტიპის დისციპლინური გადაცდომების მიმართ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით. აღნიშნულზე დაყრდნობით, ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატმა კლიენტს არ გაუწია კეთილსინდისიერი მომსახურება, ზიანი, რომელიც მისი არაეთიკური ქცევით მიადგა პროფესიას, ასევე ეთიკის კომისიისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, 40-ე მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე 153/13 ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ /სიითი #3089/1/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განისაზღვროს გაფრთხილება.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ნ. კ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/